

20 აპრილი, 2017 17:25

A

საკონსტიტუციო სასამართლოს „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელს განიხილავს „წიაღის შესახებ“ კანონის კონკრეტული მუხლის შესახებ

დღეს საკონსტიტუციო კომისია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელს განიხილავს. ორგანიზაცია ითხოვს, ანტიკონსტიტუციურად სცნონ „წიაღის შესახებ“ კანონის ის მუხლი, რომლის მიხედვით, ყველა ინფორმაცია წიაღისეულის მარაგის, შემადგენლობისა და მოპოვების შესახებ ხდება დახურული, თუკი კომპანია ლიცენზიას მოიპოვებს.

„ჩვენ ვცდილობდით, მოგვეპოვებინა კონკრეტული ლიცენზიების შესრულების ანგარიშები, ასევე მარაგებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოდის, რომ ნებისმიერი ინფორმაცია გაცემული ლიცენზიის შესახებ არის ლიცენზიანტის საკუთრება, რაც, მიგვაჩნია, რომ უბრალოდ არაა ნორმალური და ეს უნდა შეიცვალოს“, - განაცხადა „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო გუჯარაიძემ.

მოსარჩელების მტკიცებით, მსგავსი პრაქტიკა კონსტიტუციის 37-ე მუხლს ეწინააღმდეგება, რომელიც გულისხმობს, რომ ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის, მათა ბაურაშვილის განცხადებით კი, ნებისმიერი ინფორმაცია მოპოვებული წიაღისეულის შესახებ ლიცენზიანტის ინტელექტუალურ საკუთრებას, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს.

ანა მებურიშვილი